დანართი #4

დამტკიცებულია

ივ. ჯავახიშვილის სახელობის

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

2014 წლის " "№ ბრძანებით

ენების შემსწავლელი ცენტრის მასწავლებლის ვალდებულებები

ა) არასპეციალური მიმართულებით მუშაობა;

ბ) ლექციების დაგეგმვა, მომზადება და ჩატარება (სილაბუსის წარმოდგენა წერილობით);

გ) შესაბამისი ფაკულტეტის აკადემიურ პერსონალთან და სტუდენტებთან შეთანხმებით ეგრეთწოდებული შეთანხმებული (negotiated) კურიკულუმის ფარგლებში აქტუალური დარგობრივი თემატიკისა და ტექსტის სახეობის განსაზღვრა;

დ) სპეციალობისა და ჯგუფის ინტერესებს მორგებული შერჩეული მასალის დიდაქტიზაცია, სასწავლო პორტფოლიოსა და შესაბამისი სილაბუსის შექმნა;

ე) შუალედური და საბოლოო საგამოცდო საკითხების მომზადება და ნაშრომების გასწორება;

ვ) მაგისტრატურისა/დოქტორანტურის საგამოცდო საკითხების მომზადება და ნაშრომების გასწორება;

ზ) პერიოდული წერილობითი ანგარიშის მომზადება სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესახებ;

თ) შრომითი ხელშეკრულებით ან/და დამსაქმებლის მიერ დასაბუთებული, სწავლებასთან დაკავშირებული სხვა საქმიანობის წარმართვა;